ჩემპიონატი

„დინამომ“ წააგო მატჩი

30 მაისს ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე **მოსკოვის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“** ფეხბურთელებმა ჩაატარეს მორიგი კალენდარული შეხვედრა მიმდინარე წლის საკავშირო პირველობაზე.

შეჯიბრება დაიწყო სწრაფი ტემპით. „ტორპედოს“ ნახევარდამცველთა და თავდამსხმელთა ხუთეულის მწყობრი იერიშები და ზუსტი თამაში ხშირად ავიწროვებდა „დინამოს“ დამცველთა რიგებს, მაგრამ პირველ ტაიმში მათ შედეგს ვერ მიაღწიეს. ერთადერთი ბურთი 25-ე წუთზე გატანილ იქნა პაიჭაძის მიერ.

მეორე ტაიმში მოსკოველები ვირტუოზულად თამაშობდნენ, მათ დააბნიეს თბილისის „დინამოს“ დამცველები და შეძლეს ორი ბურთის გატანა. ტორპედომ დამსახურებულად მოიგო მატჩი ანგარიშით – 2:1.

„ახალგაზრდა კომუნისტი“, 1 ივნისი, 1940 წ.